ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 10

ქ. თბილისი **27.02.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ);

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
მამუკა თედიაშვილი- ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის დირექტორი;
ზაირა კიკნაველიძე-შპს რუსთველის დირექტორი;
გულჩინა ჭიკაძე-შპს საუნჯეს დამფუძნებელი,დირექტორი.
თამარ მაისურაძე -შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკის დირექტორი;
ვერა ყურულაშვილი- შპს დეას დირექტორი;
არსენ შახია - შპს დეას დირექტორის მოადგილე;
ირაკლი ყიფშიძე-ა(ა)იპ-ორ ავნერ და ჰანას დირექტორი;
მამუკა დანელია- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პრორექტორი;
ნატო ბასილაია- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო ნაწილის უფროსი;
ია გუგუნავა - შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი;
ლაურა ტიღაშვილი - შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ხარისხის მართვის მენეჯერი;
ნინო ჩიკვაშვილი-შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესის დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ნელი ნასყიდაშვილი;
კახა ჟღენტი;
პაატა ჩორგოლაშვილი;
სერგო დურგლიშვილი;
მანანა ალიბეგაშვილი;
დავით ჭეიშვილი;
ქეთევან რეხვიაშვილი;
ქეთევან ბოტკოველი;
მანანა თურქაძე;
ლიანა კობესაშვილი;
მარინე სეხნიაშვილი;
მაკა ტუკვაძე;
ლიანა ჩარკვიანი;
ირინა დვალი;
ნატო სანაია;
მიხეილ მინდაძე;
თამარ ამზაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ მურღულია.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:05 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს რუსთველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საუნჯეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს დეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ორ ავნერ და ჰანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
9. შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა "პროგრესისათვის" მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სხდომაზე ცენტრის მხრიდან წარდგენილი იქნა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რიგითობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტების თხოვნის საფუძველზე შპს დეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადასულიყო 4 საკითხად, ხოლო შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკის ავტორიზაციის საკითხის განხილვა კი- 5 საკითხად. საბჭომ მიიღო შუამდგომლობა და ერთხმად დაამტკიცა სხდომის შეცვლილი დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მოცემული საკითხის განხილვა ასევე მოხდა 2017 წლის 20 თებერვალს გამართულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, სადაც საბჭოს წინაშე წარდგენილ იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და განხილული იქნა ექპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზები. ამასთან, საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღება გადაიდო მოცემული განხილვისათვის, რადგან დაწესებულებას დაევალა ერთი კვირის ვადაში აღმოეფხვრა ხარვეზი, რომელიც უკავშირდებოდა სკოლაში დამონტაჟებული გამათბობლების გაუმართაობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მამუკა თედიაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა დოკუმენტაცია ახალი გამათბობლების შესყიდვისა და დამონტაჟების შესახებ, ასევე ყანსტრასგაზის დასკვნა მათი გამართულობის შესახებ. დაწესებულების განმარტებით, ხარვეზი გამათბობლების დამონტაჟების შესახებ გამოსწორებული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 615 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტი.

დისკუსიის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 615-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლას (ს/კ:205195028) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 615-ით.

საბჭოს სხდომას 15:18 წუთზე შემოუერთდნენ საბჭოს წევრები: თამარ ფხალაძე, მარინა უშვერიძე, ქეთევან აბულაძე.

2. შპს რუსთველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა კახა ჟღენტმა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

2.1. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო:

ა) სკოლის წლის სამუშაო კალენდარი, სკოლის საათობრივი ბადე, გაკვეთილების დაწყება-დამთავრების და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობა, შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობა საგნების და კლასების მიხედვით.

ბ) საათობრივი ბადის მიხედვით გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ყველა სავალდებულო საგნის სწავლება და ასევე არჩევითი საგნები: ხელოვნების ისტორია - მე-10 კლასში, სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა - მე-11 და მე-12 კლასებში და შესავალი თანამედროვე ფიზიკაში - მე-11 კლასში.

გ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება მოცემული იყო სავალდებულო და ფაკულტატური სახით:

- რუსული ენის სწავლება იწყებოდა მე-2 კლასიდან, ხოლო გერმანული ენის სწავლება იწყებოდა მე-3 კლასიდან. საათების გადანაწილება შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.
- დაწყებით კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგნად ისწავლებოდა საბრძოლო ხელოვნება და ხატვა. აქვე აღინიშნა, რომ მართალია საბრძოლო ხელოვნების მასწავლებელს არ ქონდა პედაგოგის კვალიფიკაცია, მაგრამ ქონდა სპორტული მიღწევების შესაბამისი სერტიფიკატები.
- სკოლაში პირველ - მეექვსე კლასებში ნებაყოფილობითი ფაკულტატური საგნის სახით ისწავლებოდა „რელიგია". საგნის თემატიკას წარმოადგენდა ძველი აღთქმის ისტორია, ახალი აღთქმის შინაარსი და მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანთა ცხოვრებები.

დ) სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდეგნილი იყო გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ნუსხა, რომელიც შეესაბამებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს. ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა კახა ჟღენტმა ასევე განმარტა, რომ სკოლაში გერმანული ისწავლებოდა მე- 3 კლასიდან და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გერმანული სახელმძღვანელოების გრიფირება 2013 წლიდან შეჩერებული იყო, სკოლას მხოლოდ ძველი სახელმძღვანელოები ჰქონდა.

2. 2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა კახა ჟღენტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ რუსთავში, იგი განთავსებული იყო კაპიტალურ შენობაში, რომელსაც ჰქონდა ცენტრალური გათბობა. მიუხედევად იმისა, რომ საკლასო ოთახები ძალიან დიდი არ იყო, სკოლაში მაინც შექმნილი იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. სკოლის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფდა 8 უსაფრთხოების კამერა, მათ შორის 3 აკონტროლებდა გარე პერიმეტრს, ხოლო 5 შიდა პერიმეტრს. სკოლას ჰქონდა განვითარების პერპექტივა, გასაუბრებით დასტურდებოდა მშობლების კმაყოფილება. სკოლა უზრუნველყოფდა მოსწავლეთა ტრანსპორტირებას.
სკოლის შენობაში განთავსებულია საკლასო 25 ოთახი, 5 თვისუფალი საკლასო ოთახი, ლაბორატორია, მუსიკის კაბინეტი პიანინოთი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, კომპიუტერული კლასი, სპორტული/საცეკვაო დარბაზი, ადმინისტრაცის ოთხები (დირექტორის კაბინეტი, საქმეთა მმართველის ოთხია, სამნეო ოთახი, მოდგილეების ოთახი და ბუღალტერია), სამსწავლებლო, ბუფეტის ოთახი და ექიმის ოთახი. სკოლაში არის 4 სველი წრტილი, ასევე 1 სსსმ-ისათვის ადაპტირებული. კლასებში განთავსებული იყო 480 ინდივიდუალური მერხი და 480 სკამი, 32 დაფა და სხვა სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარი. სკოლა აღჭურვილი იყო 24 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, ქონდა რამოდენიმე პრინტერი და პროექტორი, აუდიო ტექნიკა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არა ჰქონდათ შეკითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი გიორგი გახელაძე დაინტერესდა იყო თუ არა ეზო საზიარო შენობაში განთავსებულ სხვა დაწესებულებებთან. ექსპერტმა კახა ჟღენტმა განმატა, რომ შენობაში სკოლის გარდა არაფერი ფუნქციონირებდა.

2.3 ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექპერტმა კახა ჟღენტმა აღნიშნა, რომ სკოლის პედაგოგები შერჩეულნი იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ" შესახებ საქართველოს კანონისა და და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მისი განცხადებით, სკოლას ჰყავდა 60 მასწავლებელი, აქედან 9 იყო უფროსი მასწავლებელი, ხოლო 49-პრაქტიკოსი. სკოლაში დასაქმებული იყო სტატუსის არმქონე ორი მასწავლებელი, სპორტის და დამატებითი საგნის - რელიგიის მასწავლებელი, თუმცა მათ უდასტურდებოდათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 480 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფლებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.
შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთველისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 480-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს რუსთველს (ს/კ:216392179) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 480-ით.

3. **შპს საუნჯეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა სერგო დურგლიშვილმა და მანანა ალიბეგაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ექსპერტებმა აღნიშნეს რომ შპს „საუნჯის" სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენდა ერთიან დოკუმენტს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იყო დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. მისი შემადგენელი ნაწილები იყო:

1. შესავალი;
2. სკოლის მისია;
3. სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება;
4. საგანმანათლებლო რესურსები;
5. ინკლუზიური განათლება;
6. შეფასების სისტემა;
7. მეთოდიკური ორიენტირები;
8. სავალდებული, არჩევითი და ფაკულტატური საგნები;
9. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი;
10. სკოლის სასწავლო პროცესზე ადმინისტრაციის კონტროლის მიმართულებები;

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართების სახით ერთვოდა საათობრივი ბადე კლასების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობები, საგნების შეფასების რუბრიკები, არჩეული სახელმძღვანელობების ჩამონათვალი.

სკოლის 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლის შინაგანაწესით, შეფასების სისტემითა და რუბრიკებით, ასევე მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდებოდა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იყო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო და საწავლო პროცესი. სკოლაში გაძლიერებულია STEM-ის საგნების სწავლება, თითო საათით გაზრდილია საათების რაოდენობა საბუნებისმეტყველო საგნებში.

საჭოს წევრი ქეთევან აბულაძე დაინტერესდა მოსწავლეთა კონტინგენტით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში ირიცხებოდა 61 მოსწავლე. ამჟამად არ ჰყავდათ მე-4 და მე-8 კლასები. სკოლა ზრუნავდა ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა მოზიდვაზე.

3.2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ შპს „საუნჯე" მდებარეობდა ქალაქ რუსთავში, ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე. მისი განმარტებითშენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო საბავშო ბაღი, რომელიც გასულ წელს გაიხსნა სკოლასთან ერთად. ექსპერტის განცხადებით, სკოლისა და საბავშო ბაღის დამფუძნებელი იყო ერთი და იგივე ორგანიზაცია. სკოლასა და ბაღს ჰქონდათ საერთო ეზო და შესავლელი, რის გამოც საჭირო გახდა კამერების დამატება. დაწესებულებამ სხდომაზე წარმოადგინა დოკუმენტაცია კამერების დამატების შესახებ.
სკოლაში განთავსებული იყო 12 საკლასო ოთახი, ორ საკლასო ოთახში განთავსებული იყო ბიოლოგიისა და ფიზიკა-ქიმიის კაბინეტები. ასევე მეორე სართულზე იყო ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ადმინისტრაციის ორი ოთახი და სველი წერტილები. სკოლა აღჭურვილი იყო 125 მერხითა და 127 სკამით, სკოლამ დამატებით წარმოადინა ხელშეკრულება და გადახდის დამადასტურებული საბუთი 30 მერხისა და 30 სკამის აღდგენა-შეკეთების თაობაზე.

3.3 ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებული იყო 30 პირი, მათგან 23 იყო პედაგოგი. პედაგოგებიდან 14 დარეგისტრირებული იყო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში პრაქტიკოს მასწავლებლად, 4 - უფროს მასწავლებლად, 1 - წამყვან მასწავლებლად , ხოლო 4 არ ჰქონდა სტატუსი. სკოლას ჰყავდა 12 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებული რესურსების გათვალისწინებით, მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 155 მოსწავლისთვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფლებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სკოლა შპს საუნჯესთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 155-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საუნჯეს (ს/კ:216325965) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 155-ით.

4. შპს დეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და მანანა თურქაძემ წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის.
4.1 მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით,
ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს დეა განთავსებული იყო 507.00 კვ. მ. ფართში, რომელიც მდებარეობდა ქ. თბილისში, ზაზაშვილის ქ. 1-ში. 4 სართულიანი შენობის მეორე სართულზე. დაწესებულება აღნიშნულ ფართს ფლობდა 2014 წლის 1 ივლისის 6 წლის ვადით გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. შენობა იყო მოძველებული, თუმცა სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლისთვის დაწყებული იყო ახალი შენობის მშენებლობა.

სკოლაში იყო 12 საკლასო ოთახი იყო. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დაწესებულებას საერთო ჯამში ჰქონდა 194 მაგიდა და სკამი, საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 140 ინდივიდუალური მერხითა და სკამით, ხოლო სასკოლო ინვენტარის ნაწილი ინახებოდა სათავსოში.

ესქპერტის განმარტებით, სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობები იყო: მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, სპორტული აკრობატიკა. დაწესებულებაში არსებული 52.27 კვ. მ. ფართი გამოყენებული იყო სპორტის გაკვეთილებისთვის, მასში დამონტაჟებული იყო შვედური კედელი. სკოლას არ ჰქონდა სპორტული მოედანი, თუმცა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი სარგებლობდნენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მოედნით. დაწესებულებას არ წარმოუდგენია ხელშეკრულება მოედნით სარგებლობაზე, თუმცა ვიზიტის პერიოდში წერილობითი თხოვნით მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას სტადიონის გამოყოფის თაობაზე.

მიუხედავად იმისა რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავდა მოსწავლე, რომელიც საჭიროებდა ეტლით გადაადგილებას ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობაში ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებული პანდუსზე ეტლით გადაადგილება ვერ მოხერხდებოდა, რადგან კიბის დახრა იყო მაღალი. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის გადავიდოდა სკოლა ახალ შენობაში, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა რომ ეს, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა სექტემბრიდან.

4.2 ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა და ადამიანური რესურსი შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მისი განმარტებით სკოლის საშტატო განრიგით სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია და დამხმარე-ტექნიკური პერსონალი განსაზღვრული იყო 14 საშტატო ერთეულით, ხოლო პედაგოგი - 23 საშტატო ერთეულით, ამასთან, 7 მასწავლებელი ითავსებდა დირექციის წარმომადგენლის ფუნქციასაც. მაგალითად, ქიმიის მასწავლებელი ითავსებდა ექთნის ფუნქციასაც, თუმცა მას ქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია. ექსპერტის განმარტებით,

4.3 პროგრამულ სტანდარტთან მიმართებით

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა, წარმოედგინა ძირითადი შენიშვნები პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დასტურდებოდა, რომ სკოლა ზრუნავდა მოსწავლეზე და მასწავლებელზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნაზე.
მეხუთე კლასში ნაცვლად ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო 28 საათისა, 27 საათი იყო განსაზღვრული. თუმცა, ამავე კლასში სასკოლო საათობრივ ბადეში სავალდებულო დამატებით საგნად შეტანილი იყო რელიგია და კულტურა და ლოგიკა, რაც ჯამში 29 საათს იძლეოდა. ასევე, მეცხრე კლასში სავალდებულო 33 საათის ნაცვლად, გათვალისწინებული იყო 31 საათი.
ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლამ გაითვალისიწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში.

რაც შეეხებოდა სავალდებულო დამატებით საგნებს, დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა: პირველ-მეექვსე, მეცხრე, მეათე, მეთორმეტე კლასებში ინგლისურ ენას, მეშვიდე და მეცხრე კლასებში კი - გერმანულ ენას, მეორე -მერვე კლასებში რელიგიასა და კულტურას, მეორე-მეთორმეტე კლასის ჩათვლით კი - ლოგიკას.

დაწესებულების წარმოადგენლის განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სკოლის ერთ-ერთ მისიად განსაზღვრული იყო, მოსწავლეთა ტოლერანტული პიროვნებებად აღზრდა, დაწესებულება მოსწავლეებს სხვა რელიგიების შესწავლასაც სთავაზობდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ჰყავდა 2 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. მისი განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავდა ინკლუზიური განათლების პროგრამას, სადაც გაწერილი იყო სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმაზე მუშაობის პრინციპები.

ექსპერტმა აღნიშმა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ, მათ პირად საქმეში მხოლოდ ნეირო-ფსიქოლოგების დასკვნა იყო. სხვა მოსწავლეებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩასართავად, მათთვის ყველა საგანში შემუშავებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

საბჭოს წევრი ქეთევან აბულაძე დაინტერესდა სკოლის დამატებითი მომსახურებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამატებითი მომსახურება ხორციელდებოდა წრეების სახით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.
საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფლებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დეასთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,შპს დეას (ს/კ: 200055992) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

5. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა დავით ჭეიშვილმა და ქეთევან რეხვიაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად დაწესებულების დიდი გამოცდილებისა, ექსპერტთა დასკვნაში მაინც ფიქსირდებოდა რიგი ხარვეზები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

5.1 საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

ა)2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით იგი შეთანხმებული იყო 2016 წლის 27 აგვისტოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე თუმცა აღნიშნული თარიღით ოქმი პედსაბჭოს სხდომის ოქმებში არ იძებნებოდა. სკოლაში არსებული პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების მიხედვით, სკოლის სასწავლო გეგმა შეთანხმებული იყო 2016 წლის 25 სექტემბერს №2 ოქმით და დამტკიცებული იყო 2016 წლის 27 აგვისტოს სკოლის დირექტორის ბრძანებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულება სწავლას იწყებდა 1 სექტემბერს, 27 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე კი იყო ერთ კვირაზე ნაკლები, შესაბამისად სკოლის მიერ დარღეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აღნიშნული ვადა.

სხდომის თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა სწავლის დაწყება-დამთავრების დროსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ყველა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყების დროდ განსაზღვრული იყო 15 სექტემბერი და ეს ნორმა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

ბ) სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი, თუმცა არსებობდა ხარვეზები არჩევით საგნებთან დაკავშირებით. კერძოდ, მე-12 კლასში პირველ სემესტრში არ ისწავლებოდა არჩევითი საგანი. გარდა ამისა, მოსწავლეები 2016-2017 სასწავლო წელს მე-10 და მე-11 კლასებში არჩევით საგნად სწავლობდნენ მხოლოდ მსოფლიო კულტურასა და

ლიტერატურას, რომელიც ასევე ისწავლებოდა 2015-2016 სასწავლო წელსაც მე-10 და მე-11 კლასებში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი სამი არჩევითი საგანი უნდა ისწავლებოდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ იკითხა, თუ რა რეაგირება მოახდინა სკოლამ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიმართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნით, მიეცა თანხმობა 10 კლასში არჩევით საგნად კონსერვაციული ბიოლოგიის, ხოლო 11 კლასში ლიტერატურის შეტანის თაობაზე. აღნიშნულის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლას განუცხადა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნულით სწორდებოდა თუ არა ხარვეზი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგად მითითებული ხარვეზი სწორდებოდა.

გ) სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობად არჩეული იყო მხოლოდ კარატე, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, არჩეული უნდა ყოფილიყო სპორტის სამი სახეობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაზო საფეხურზე მათ გათვალისწინებული ჰქონდათ ჭადრაკიც, ხოლო მესამე სახეობად დაამატეს მაგიდის ჩოგბურთი. სკოლამ შეიძინა ჩოგბურთის მაგიდა აღჭურვილობით, რისი დოკუმენტაციაც წარადგინეს საბჭოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი, რომ ეს სერიოზული ხარვეზი იყო და სკოლას აქამდე უნდა ეზრუნა ამ საკითხზე.

დ) მოსწავლეთა შეფასება სკოლაში ხდებოდა 100-ქულიანი სისტემით, ამ სისტემის შესაბამისად იყო დაფიქსირებული საკლასო ჟურნალებში როგორც მიმდინარე, ასევე სემესტრული შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი შეფასება ხორციელდებოდა მხოლოდ წლიური შეფასების დროს. გადასასვლელი მინიმალური ბარიერი იყო 5,0 ქულა. ექსპერტის განცხადებით 100 ქულიანი სისტემის 10 ბალიან სისტემაზე გადაყვანისას შესაძლებელი იყო უზუსტობების დაშვება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა სკოლის შეფასების სისტემის ეროვნულ სასწავლო გეგმის შეფასების სისტემასთან შესაბამისობის შესახებ განმარტება, სადაც აღწერილი იყო ქულების გადაყვანის სისტემა და განმარტა, რომ წლიური ქულის გამოყვანისას არ ფიქსირდებოდა არანაირი უზუსტობა.

ე) სასკოლო გეგმაში არ იყო დაზუსტებული შემაჯამებელი დავალებების განრიგი, საგამოცდის ტიპები და ჩატარების წესები, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პირობები. მოცემული იყო მხოლოდ საბოლოო შეფასების წესი: წლიური გამოცდის ქულა მიემატება სემესტრულ ქულებს და გაიყოფა სამზე, მიღებული ქულა იყო მოსწავლის საბოლოო შეფასება. ექსპერტმა განაცხადა, რომ არასწორი წესით გამოითვლებოდა სემესტრული ნიშანი: სასკოლო წერას მინიჭებული აქვს ისეთივე წონა, როგორიც სამი კომპონენტის (საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი) შეჯამებით მიღებულ ქულას.

დაწესებულების წარმომადგენებლმა განმარტა, რომ ეს გაწერილი ქონდათ შინაგანაწესში. აგრეთვე ტარდებოდა სასკოლო წერები, რომელიც არ იყო გათვლილი სასკოლო გეგმაში, თუმცა ნიშნის გამოთვლისას ხდებოდა მისი გაითვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საჭირო იყო სასკოლო წერებისათვის სტატუსის განსაზღვრა.

ვ) მოსწავლეთა პირადი საქმეების შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა პირადი საქმეების ფორმა ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა ბრძანებით დადგენილ სტანდარტს. 1-5 კლასებში შესაბამისია სტანდარტთან, 6-12 კლასებში 91 მოსწავლის პირადი საქმე შესაცვლელია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (N113/ნ 2013 წლის 22 აგვისტო) შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოზე წარმოადგინა მოსწავლეთა ახალი პირადი საქმეების ფორმების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. 2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ:

ა) შპს ქართულ - ინგლისურ სკოლა „ბრიტანიკას" 2017 წლის 01 თებერვლიდან 2024 წლის 01 თებრვლამდე ფიზიკურ პირ როლანდ ჯავახიასგან იჯარით, ქ. თბილისში ჩარგლის ქუჩის 65 ნომერში, აღებული ქონდა 873.00 კვ.მ. ფართის სამ სართულინი შენობა - ნაგებობა.

ბ) დაწესებულებაში იყო 20 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნების შემსწავლელი ლაბორატორია, შეხვედრების ოთახი, სამასწავლებლო, საკონფერენციო ოთახი, ბიბლიოთეკა, სახელოსნო, სასადილო, ექიმის კაბინეტი და ერთი 59.40 კვ.მ. ფართის ე. წ. სპორტდარბაზი. ექსპერტის განმარტებით, სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად, ეს დარბაზი არ გამოდგებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა იყენებდა მიმდებარედ არსებულ მინი სტადიონს, რომელზეც სურდათ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება და რისთვისაც მიმართეს გამგეობას და ქონების მართვის სამინისტროს.

გ) სკოლაში იყო 260 ერთეული მოსწავლის ინდივიდუალური მერხი თავისი სკამით, ასევე დამატებით 36 სკამი, 10 ცალი ტყავგადაკრული სკამი და თორმეტი სკამი საწერი დაფით საკონფერენციო ოთახისთვის. თუმცა, დოკუმენტაცია ამ ინვენტარის ფლობის შესახებ ნაწილობრივ იქნა წარმოდგენილი, მხოლოდ 83 სკამის შესყიდვის დოკუმენტაცია იქნა წარმოადგენილი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით 2006 წლის დოკუმენტები სკოლაში არ არსებობდა, რადგან არქივისათვის იყო გადაცემული.

დ) სკოლას ქონდა საბუნებისმეტყველო საგნების და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემსწავლელი ლაბორატორიები. თუმცა აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ კაბინეტს, რომლის ფართობიცა იყო 26.92 კვ.მ. არ ქონდა საპრეპარატორო, რის გამოც ხელსაწყოები და თვალსაჩინოება განლაგებული იყო იმავე ოთახში. გარდა ამისა ამ ოთახში შეუძლებელი იყო ქიმიის სადემონსტრაციო ცდების ჩატარება.

დაწესებულის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ სექტემბრიდან ექნებოდათ ლაბორატორია, ხოლო ამჟამად იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიას. მათ სიდი დისკით საბჭოს წარუდგინეს ვირტუალურად ქიმიური ცდების ჩატარებისათვის განკუთვნილი ნიმუშები.

ე) შპს ქართულ - ინგლისურ სკოლა ბრიტანიკის ბიბლიოთეკაში, რომელიც განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე მდებარე 20,21 კვ.მ. ფართობის ოთახში, წიგნები არ იყო დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესით, არ იყო ანბანური კატალოგი და საინვენტარიზაციო წიგნი. წიგნადი ფონდი შეყვანილი იყო ბიბლიოთეკაში არსებულ „ნოუთბუქში" ცხრილის სახით, რომლის მიხედვითაც სკოლაში იყო 1698 ცალი სხვადასხვა დასახელების წიგნი, თუმცა შემხვევითი შერჩევის პრინციპით ჩვენს მიერ მოთხოვნილი წიგნი ვერ მოგვაწოდეს.

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ სკოლას უნდა ჰქონოდა ბიბლიოთეკაში წიგნების გაცემისა და მიღების აღრიცხვის წესი.

ვ) დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ნაწილობრივ ჰქონდა შექმნილი ადაპტირებული გარემო. სკოლის ცენტრალურ შემსასვლელთან არ იყო მოწყობილი პანდუსები, თუმცა სკოლის დირექციის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში ისინი ისარგებლებდნენ ცენტრალური შემოსასვლელიდან ხელმარცხნივ მდებარე სკოლის სათადარიგო შემოსასვლელით, რომელიც პირდაპირ მიწის დონეზე იყო. პანდუსები ასევე არ იყო მეორე სართულიდან მესამე სართულზე ასასვლელ კიბეებზე . ექსპერტის განმარტებით ასევე, არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მათ უკვე შეიძინეს პანდუსი და საბჭოზე წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

ზ) სკოლას ჰქონდა სამი შესასვლელი, ცენტრალურ შესასვლელთან არ იდგა მეორე კამერა და შესაბამისად, არც სკოლის დამხმარე შესასვლელები კონტროლდებოდა

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მათ მიიყვანეს სპეციალისტი და აღნიშნული ხარვეზი უახლოეს დღეებში აღმოიფხვრებოდა. მან საბჭოს წარუდგინა სპეციალისტთა გაფორმებული ხელშეკრულება

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდა სველ წერტილთან დაკავშირებით ხარვეზის აღმოხვრას. მან ასევე განაცხადა, რომ მატერიალური რესურსის ყველა სეგმენტთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა ხარვეზი, ხოლო არანაირი მტიცებულება არ იყო წარმოდგენილი იმის თაობაზე, რომ ხარვეზები გამოსწორდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა პრობლემის არსებობა, თუმცა დასძინა რომ სკოლამ ყველა ხარვეზთან დაკავშირებით დაიწყო მუშაობა, ზოგიერთი უკვე გამოსწორებული იყო, რისი მტკიცებულებებიც წარმოდგენილი ქონდათ, ხოლო ზოგიერთი, მაგალითად ადაპტირებული სველი წერტილი და ლაბორატორია მოკლე დროში ვერ გამოასწორეს, თუმცა მიიყვანეს ხელოსნები და დაგეგმეს სამუშაოები.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ხარვეზის გამოსწორების გარკვეული მტკიცებულებულებები, თუნდაც ფოტოები უნდა წარმოედგინა საბჭოსთვის.

5.3 ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი შედგებოდა 37 პედაგოგისგან, მათგან 6 სერტიფიცირებული იყო და მათ მინიჭებული ქონდათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი. 8 იყო კლასის დამრიგებელი, რომლებიც პარალელურად საგანსაც ასწავლიდნენ და მათგან 1 იყო სერტიფიცირებული უფროსი მასწავლებელი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით 3 მასწავლებელს არ ქონდა მასწავლებლად მუშაობის უფლება, რაზედაც სკოლამ განაცხადა რომ პედაგოგების წასვლის გამო მოუწიათ ახალი კადრის მიღება.

სკოლის შინაგანაწესში არსებობდა მთელი რიგი ჩანაწერები, რომლებიც მოქმედ კანონმდებლობასთან იყო შეუსაბამო. ეს ეხებოდა საშტატო განრიგის დამტკიცების წესს, თანამშრომლებისათვის შრომის წიგნაკის მოთხოვნას, თანამშრომელთა სამსახურში მიღებას გამოსაცდელი ვადის პერიოდს და დავების განხილვას.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ზემოაღნიშნული ხარვეზის არსებობა და აღნიშნა, რომ შინაგანაწესში უკვე შევიდა ცვლილებები, რითაც აღმოფხვრილი იყო დასკვნაში ჩამოთვლილი ხარვეზები. მან ასევე განაცხადა, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მათთვის უმთავრესი იყო მოსწავლეების მიერ მიღწეული შედეგები, რითაც ამაყობდნენ. ასევე დაამატა, რომ გასათვალისწინებელი იყო დაწესებულების ისტორია და იქ დაგროვილი გამოცდილება, რომ სკოლა აუცილებლად უმოკლეს ვადებში აღმოფხვრიდა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს და მზად იქნებოდა მონიტორინგის ვიზიტისათვის.

საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ აღნიშნა, რომ საჭირო იყო გადამოწმება ნამდვილად გამოსწორდებოდა თუ არა დაფიქსირებულ ხარვეზები, ტარდებოდა თუ არა ქიმიური ცდები ელექტრონულად, რამდენად უსაფრთხოდ იყო ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებთან და ა.შ.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მართალია დაფიქსირებული იყო ხარვეზები, თუმცა ამ ხარვეზების ძირითადი ნაწილი უკვე გამოსწორებული იყო, რაც სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას უზრუნველყოფდა, გამოსწორებული იყო დოკუმენტაციის წარმოებაში დაფიქსირებული ხარვეზებიც. დარჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის გადასამოწმებლად კი ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში გონივრულ ვადებში უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგი. სხდომის თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების დაგეგმვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 245 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 245-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას (ს/კ: 200193673) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 245-ით.

16:35 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თამარ კაპანაძემ.

6. ა(ა)იპ ორ ავნერ და ჰანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ლიანა კობესაშვილმა და მარინე სეხნიაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტთან მიმართებით.

6.1 საგამანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით

ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში ისწავლებოდა ყველა ის სავალდებულო საგანი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით იყო გათვალისწინებული, გამონაკლისი იყო მხოლოდ პირველი კლასი, სადაც არ ისწავლებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიები. ამასთან, ეს საგანი მე-7 კლასში ისწავლებოდა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგანი, რომელიც ფასდებოდა და შეფასება აისახებოდა მოსწავლის წლიურ შეფასებაში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, მიიჩნევდნენ თუ არა საბჭოს წევრები დასახელებულ გარემოებას ხარვეზად, საბჭოს წევრებმა განაცხადეს რომ აღნიშნული მათ ხარვეზად არ მიიჩნდათ.

ექსპერტის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებულ შემდეგი დამატებით საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურებას. ივრითს, რომელიც ისწავლებოდა პირველი კლასიდან მე-8 კლასის ჩათვლით კვირაში 4 სთ, ხოლო მე-9-მე-11 კლასში 1 სთ, ებრაული ტრადიცია- პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით 3 საათი და მე-9, მე-10 კლასებში 1 სთ.

ესქპერტის განმერტებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ჩანდა ეს საგნები სავალდებულო იყო თუ არჩევითი. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით, ასევე დირექციასთან გასაუბრებით ირკვეოდა, რომ ივრითი და ებრაული ტრადიციები იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგნები, რომელიც ფასდებოდა10 ქულიანი სისტემით, მაგრამ ქულა მოსწავლის წლიურ შეფასებაში არ აისახებოდა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლას უფლება ჰქონდა, ეროვნული სასწავლო გეგმით ერთი კლასისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% გადაენაწილებინა საგნებს შორის. თუმცა აღნიშნულ

შემთხვევაში ერთი კლასისათვის განკუთვნილი საათობრივი დატვირთვის ნაწილი გამოყენებული იყო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებისთვის.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით რუსულ ენას ქონდა მოკლებული საათები და დამატებული ჰქონდა ივრითს.

სკოლას კლასების მიხედვით შემცირებული ჰქონდა საათები სპორტში, მუსიკაში, რუსულ ენასა და ხელოვნებაში, ხოლო საათები გაზრდილი ჰქონდა ინგლისურში და მათემატიკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ივრითი მიჩნეული იყო როგორც უცხო ენა, დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში, რისი დამადასტურებლი დოკუმენტაციც წარმოდგენილ იქნა საბჭოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინადან ხარვეზი აღმოფხვრილი იყო აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა აღარ გაეგრძელებინათ.

6. 2. მატერიალურ რესურსის სტანდარტთან მიმართებით

ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ -„ორ ავნერ და ჰანა“ მდებარეობდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N51ა-ში, 709 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ხუთსართულიან შენობაში. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი იყო 1354,24კვ.მ. შენობის არსებულ ფართზე გაფორმებული იყო იჯარის ხელშეკრულება 2018 წლის 1 სექტემბრამდე. ვიზიტის პერიოდში, 22.02.2017, შევიდა ცვლილება იჯარის ხელშეკრულებაში და იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 1 სექტემბერი.

6.3 ადამიანურ რესურსის სტანდარტთან მიმართებით

ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი, მათ შორის დირექტორი, დირექტორის მრჩეველი, 20 მასწავლებელი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, დაცვის 1 თანამშრომელი, დამლაგებელი, მზარეული, ბუღალტერი და ლოჯისტიკის მენეჯერი.

სკოლაში დასაქმებული 20 მასწავლებლიდან 2 იყო უფროსი მასწავლებელი, 3 - პრაქტიკოსი, 8-ს მოპოვებული ჰქონდა მასწავლებლის სერტიფიკატი, ხოლო ორს ჰქონდა დოქტორის აკადემიური ხარისხი. 5 მასწავლებელს არ ჰქონდა არც მასწავლებლის სტატუსი და არც სერტიფიკატი, მათ შორის ერთი იყო საგზაო წესებისა და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელი, თუმცა ექპერტის განმარტებით, ყველა მასწავლებელს უდასტურდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას განაცხადი წარდგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში.

სკოლა არ იყო ჩართული მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რაც განპირობებული იყო ტექნიკური მიზეზებით. სკოლამ რეგისტრაციის დასრულებამდე დარჩენილ მცირე დროში ფიზიკურად ვერ მოახერხა მასწავლებლების დარეგისტრირება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 100 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- ორ ავნერ და ჰანასთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- ორ ავნერ და ჰანას (ს/კ:205195457) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

16:47 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა გრიგოლ მურღულიამ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის თავმჯდომარის ფუნქციის შესრულება საბჭოს წევრების თანხმობით დაევალა საბჭოს წევრ რევაზ აფხაზავას.

7. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა მაკა ტუკვაძემ და ლიანა ჩარკვიანმა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის.

7. 1 საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან მიმართებით

ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საათობრივი ბადის ნაწილის მიხედვით სკოლაში ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და სავალდებულო არჩევითი საგანი. სკოლა მოსწავლებს არჩევით საგნად სთავაზობდა კომპიუტერულ მეცნიერებებს.

სპორტის სახეობებიდან არჩეული იყო: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და მაგიდის ჩოგბურთი.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის სახით სკოლაში ისწავლებოდა ,,საღვთო სჯული"(I-XII კლასებში) და ,,ძველი ქართული ენა"(VIII და X კლასებში). დაწესებულების გადაწყვეტილებით აღნიშნული საგნები სავალდებულო სახით იყო შეთავაზებული.

დაწესებულებაში ფუნქციონირებდა: ხატვის, ვოკალის, ცეკვის, ტიხრული მინანქარის და ინგლისურის წრეები. სააღმზრდელო მომსახურეობის სახით კი სკოლაში არსებობსა გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები. სკოლა პანსიონურ მომსახურებასთან ერთად მოსწავლეებს სთავაზობდა ხუთჯერად უფასო კვებას. დაწესებულებაში ყველა ტიპის მომსახურება იყო უფასო.

სასკოლო სასწავლო გეგმის საგნობრივი კათედრების ნაწილის მიხედვით სკოლაში არის იყო 7 საგნობრივი კათედრა.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამულ ნაწილთან მიმართებით არსებითი ხარვეზები არ ყოფილა დაფიქსირებული, ძირითადათ რეკომენდაციები იყო მიცემული შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. კერძოდ კი შემაჯამებელი დავალებების გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და აგრეთვე, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდებოდა, რომ სკოლაში ხდებოდა თითოეული საფეხურის მოსწავლეთა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

7.2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექპერტმა აღნიშნა, რომ წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მდებარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში. მიწის საერთო ფართი იყო 1218,0 კვ.მ, რომელზეც მდებარეობდა სასწავლო კორპუსი. ფართის მესაკუთრე იყო საქართველოს საპატრიარქო და 18 წლით სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული სკოლას.
სასწავლო კორპუსში იყო 14 საკლასო ოთახი, კომპიუტერებისა და საბუნებისმეტყველო საგანთა ლაბორატორია და სააქტო დარბაზი. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო საჭირო რაოდენობის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, სხვადასხვა სასწავლო თვალსაჩინოებებით. სკოლის მფლობელობაში იყო 127 ერთადგილიანი და 75 ორადგილიანი მერხი თავისი სკამებით, სულ 202 მერხი. სკოლას ქონდა 3 გარე და 6 შიდა კამერა. სამი სპროტული მოედანი, სპორტული დარბაზი. ადაპტირებული გარემო და სველი წერტილი.

7.3 ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მიმდინარე 2016-2017 სასწავლო წელს სწავლობდა 154 მოსწავლე. სკოლის ადამიანური რესურსს შეადგენდა ადმინისტრაცია, რომელიც განსაზღვრული იყო 7 ერთეულით: სკოლის რექტორი, პრორექტორი, სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი, ფინანსური მენეჯერი, ადმინისტრაციის 2 ასისტენტი (მნე და კანცელარიის გამგე), კონსულტანტ-იურისტი; დამხმარე-ტექნიკური პერსონალი - 21 ერთეული (დარაჯები, მეტრაპეზეები, დამლაგებლები, ცეცხლფარეშები, ძიძები და სხვ.), 26 პედაგოგი, 14 აღმზრდელი, წრეების: ცეკვის, მუსიკის, ჭადრაკის, სახვითი ხელოვნების, ტიხრული მინანქრის, ინგლისური ენის ხელმძღვანელები, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ექთანი .
სკოლის 26 მასწავლებლიდან 23 ჩართული იყო მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დანარჩენის ჩართვაზე მიმდინარეობდა მიმოწერა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ არსებული რესურსების გათვალისწინებით, რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 202 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 202-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"

ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (ს/კ:235449813) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 202-ით.

8. შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა ირინა დვალმა და ნატო სანაიამ წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის.

რევაზ აფხაზავა დაინტერსდა დაწესებულების სახელწოდებით და აღნიშნა რომ სასურველი იქნებოდა სახელწოდების გარკვევით ჩამოყალიბება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება დაფუძნებული იყო 2002 წელს და 2008 წელს ქონდა მიღებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ლიცენზია, 2010 წლამდე ახორციელებდა უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებსაც და შემორჩენილი ქონდა მაშინდელი სახელწოდება.

8.1 პროგრამულ ნაწილთან მიმართებით ექსპერტმა ირინა დვალმა აღნიშნა, რომ:

ა) სკოლის კალენდარი შესაბამისობაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმასთან და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/ნ ბრძანებასთან.

ბ) სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე ეყრდნობოდა ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივ განაწილებას კლასებისა და საგნების მიხედვით იმ განსხვავებით, რომ ყველა კლასში ინგლისურ ენას საათები ჰქონდა დამატებული.

გ) შეფასების სისტემა, ნიშნების გამონგარიშების წესი და მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარება ხდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი იყო შეფასების მეთოდები, თუმცა, სხვა დოკუმენტებში არსად არ გვხვდებოდა საგნებისა და კლასების მიხედვით შეფასების მეთოდები რუბრიკებად გაშლილი.

დ) V-IX კლასებისათვის თითოეულ საგანში განსაზღვრული იყო შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რაც ეფუძნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის საათობრივ ბადეს.

ე) სადამრიგებლო პროგრამა ეყრდნობოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა სასურველი იყო სადამრიგებლო პროგრამა მეტად კონკრეტული ყოფილიყო და არ განმეორებულიყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოცემულობები.

ვ) სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებული იყო გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. სხვა საგანმანათლებლო რესურსი, რომელსაც სკოლა იყენებდა სასწავლო პროცესში იყო ძალიან ზოგადი და არ იყო მითითებული ის სასწავლო რესურსი, რომელიც სკოლას ჰქონდა მაგალითად: ცხრილები, ტაბულები, რუკები.

ზ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სასწავლო და სააღმზრდელო მომსახურება მოაცავდა რუსული ენის სწავლებას მესამე კლასიდან კვირაში 2 საათს. აღინიშნა, რომ რუსული ენის სწავლება ნაცვლად ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისა, განსაზღვრული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებად.

თ) ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სასწავლო და სააღმზრდელო მომსახურება მოიცავდა შემდეგ სავალდებულო საგანებს: რელიგიის ისტორია III-VI კლასებში (კვირაში 1 საათი, V_VI კლასებში, ფასდებოდა ჩათვლით), არასავალდებულო საგანს მოძღვრის საათი (კვირაში 1 საათი V_VIII კლასებისათვის), მაგიდის ჩოგბურთს (I_VIII კლასებისათვის) კლასებისათვის და ცეკვას 1 კლასისთვის.

ი) ზოგადსაგანმანთლებლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩასართავად შემუშავებული იყო იყო კონცეფცია.

კ) ექსპერტის განცხადებით ძირითადი რეომენდაციები სკოლას გაეწია შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. კერძოდ: საჭირო იყო დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი შეფასების სისტემა. ასევე, განსავითარებელი იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმიც. რადგან ვერ იქნა მოძიებული როგორ ხდებოდა გაკვეთილებზე დასწრების და ღია გაკვეთილების ჩატარების შიდა შეფასება, გაუგებარი იყო, თუ როგორ ხდებოდა აღნიშნული ინფორმაციის ასახვა სასკოლო სასწავლო გეგმის კომპონენტებზე.

საბჭოს წევრმა ქეთევან აბულაძემ დასვა შეკითხვა მოძღვრის საათთან დაკავშირებით და დაინტერესდა, იყო თუ არა გაწერილი გეგმა. ასევე, დაისვა შეკითხვა შემაჯამებელი დავალების რუბრიკებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ირინა დვალმა დაადასტურა, რომ სკოლაში არსებობდა მოძღვრის საათისათვის გაწერილი პროგრამა. შემაჯამებელი დავალებების რუბრიკები გამოკრული იყო ყველა კლასში, თუმცა საჭირო იყო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია. შეფასების მეთოდები შესაბამისი რუბრიკებით წარმოდგენილი არ იყო არც საგნობრივ პროგრამებში და არც კათედრების სხდომების ოქმებში იყო ამაზე ყურადღება გამახვილებული. მისი განმარტებით, სასურველი იყო ყველა საგანს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ჰქონოდა შეფასების მეთოდები გაშლილი რუბრიკებით კლასების მიხედვით.

8.2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ირინა დვალმა აღნიშნა, რომ შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიური ინსტიტუტი მდებარეობდა ქ. თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩა №26, მესამე სართულზე. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება 01.01 2023 წლამდე.

სკოლაში იყო 11 საკლასო ოთახი, ასევე, იყო 1 სამასწავლებლო, 1 დირექტორის, 1 ადმინისტრაციის, 1 მუსიკის ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სამზარეულო და ექიმის ოთახი. სკოლა აღჭურვიული იყო 170 ინდივიდუალური მერხით. აქედან საკლასო ოთახებში განლაგებული იყო 116 მერხი, ყველა ოთახი აღჭურვილი იყო დიდი და პატარა დაფით, კარადებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, სკოლას ჰქონდა 4 პიანინო, 2 მუსიკალური ცენტრი, მაგნიტოფონი, ტელევიზორი, DVD, 3 პრინტერის აპარატი, 1 პროექტორი.

8.3 ადამიანურ რესურსის სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა ნატო სანაიამ აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფდა 17 პედაგოგი. 15 მასწავლებელს ქონდა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, 2 მასწავლებელს - ბაკალავრის ხარისხი. ექსპერტის განმარტებით, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული იყო 17 მასწავლებელი, აქედან უფროსი იყო ერთი მასწავლებელი 1, პრაქტიკოსი - 16.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასაუბრების შედეგად პედაგოგებმა დატოვეს კარგი შთაბეჭდილება, ისინი მუშაობენ, თუმცა დოკუმენტურად არ იყო ეს სამუშაო ასახული მასწავლებლების პორტფოლიოებში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 140 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტს (ს/კ:208217865) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

9. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა მიხეილ მინდაძემ და თამარ ამზაშვილმა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები.

ექსპერტმა მიხეილ მინდაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 21 დეკემბერს. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 900-ით. მათ შორის 800 ადგილი ქუთაისში და 100 ბათუმის ფილიალში. დაწესებულების განაცხადი ეხებოდა სწორედ ბათუმის ფილიალისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას. აღნიშნული მიზნით, ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა მატერიალური რესურსი ბათუმში.

დაწესებულების ბათუმის ფილიალი მდებარეობდა ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. 11-ში, 22/02/2017 წლამდე იჯარით აღებულ 3 სართულიან შენობის მეორე და მესამე სართულებზე. საკოლაში იყო 30 ოთახი, მათ შორის 18 საკლასო ოთახი, 3 სასადილო-სამზარეულო, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ინფორმატიკის კაბინეტი, 1 სპორტდარბაზი, 1 ბიბლიოთეკა, 1 სამედიცინო ოთახი, 3 დირექციისა ად ადმინისტრაციის ოთახი.
სკოლა აღჭურვილი იყო 150 ინდივიდუალური მაგიდითა და სკამით, ასევე, 5 საოფისე სკამით, 2 პრინტერით, 1 პლაზმური მონიტორით, 1 პროექტორი და 14 კომპიუტერით. სკოლას თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკასთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება სასკოლო ინვენტარის - 120 მოსწავლის მერხისა და სკამის შეძენაზე, რომელიც სკოლას მიეწოდებოდა 2017 წლის 27 თებერვალს.

ექსპერტის განმარტებით შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესის ბათუმის ფილიალი მზად იყო 270 მოსწავლისათვის მომსახურების გასაწევად.

რევაზ აფხაზავამ დასვა შეკითხვა, ვიზიტისას დეტალურად მხოლოდ მატერიალური რესურსი იყო გადამოწმებული თუ არა. ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა უპასუხა, რომ ექსპერტები შეეხნენ ყველა სტანდარტს რადგან იქ იყო სააწავლო ბადე, საათობრივი გადანაწილება და სხვა. მისი განმარტებით სკოლა ყველანაირად იყო მოწესრიგებული და მზად სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1070 -ით განსაზღვრის, მათ შორის ქ. ქუთაისში 800-ით, ქ. ბათუმში 270-ით, საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესს (ს/კ: 212807550) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1070-ით, მათ შორის ქ. ქუთაისში 800-ით, ქ. ბათუმში 270-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე